პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 21 ივნისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 137 (835) 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## მეტი შინაარსიანობა სამხედრო სწავლების გაშუქებაში.

ჩვენმა მოწოდებამ მეტი ყურადღება მიექციათ სამხკორებს სამხედრო სწავლების მიმდინარეობის გაშუქებისათვის ბანაკში, ჰპოვა გამოძახილი. ამ მხრივ ჩვენ უკვე ვღებულობთ წერილებს ნაწილებიდან, მაგრამ ძლიერ ცოტას.

ჩვენ კიდევ ერთხელ ვაგონებთ ჩვენ სამხკორებს, რომ სამხედრო სწავლება პირველი საქმეა ბანაკში და მას მათ უნდა მიაქციონ უდიდესი ყურადღება. საჭიროა მისი უფრო ხშირად და სისტემატიურად გაშუქება. აქვე ჩვენ სამხკორებს უნდა მივუთითოთ ერთ დიდ ნაკლზე, რომელსაც ადგილი აქვს საზაფხულო მეცადინეობის ამ ფრიად დიდი მნიშვნელობის დარგის გაშუქებაში.

ჯერ-ჯერობით არც ერთი გადმოგზავნილი კორესპონდენცია არ აშუქებს სამხედრო სწავლებას შინაარსიანად და არსებითად. მოსულ კორესპონდენციებში ლაპარაკია მხოლოდ წითელ-არმიელთა ხალისიანობაზე სწავლისადმი და გადმოცემულია ბუნების აღწერა. რაც შეეხება იმას, თუ სამეცადინო პროგრამის რომელი ნაწილი როგორ გაიარა ამა და ამ ნაწილმა, რა მიღწევები აქვს და რა ნაკლი, აგრეთვე რა არის ნაკლის მიზეზი—ყოველივე ეს რჩება ჩვენი ბუნების მოყვარული სამხკორის თვალთა ხედვის გარეშე.

მაშასადამე ის რაც საგულისხმოა-გაუშუქებელი რჩება. ეს დიდი ნაკლი სავსებით უნდა გაითვალისწინონ ჩვენმა სამხკორებმა.

მიუთითებთ აგრეთვე შემდეგ გარემოებაზე, რომელიც აგრეთვე გამორჩა სამხკორების ყურადღებას.

ეს არის სამხედრო სწავლებაში დაწინაურებულ წითელარმიელებზე წერა. ეს მეტის მეტად საჭიროა, ვინაიდან ის წაახალისებს წითელ არმიელთა მასას მეტის გულმოდგინებით შეითვისოს სასროლო საქმე და თვით სამხედრო ხელოვნებაც.

ყველა კარგი მსროლელი, ენერგიული, აქტიური მოწინავე წითელი არმიელი უნდა გატარდეს ჩვენს გაზეთში. სამხკორებმა უნდა დასწერონ მათ შესახებ, თუ როგორ მიაღწიეს ამ დაწინაურებულ წითელ არმიელებმა მას, რომ გახდენ კარგი მსროლელი, დისციპლინიანი და სხვა.

ყოველივე ზემო ნათქვამს დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენმა სამხკორებმა და როგორც რაოდენობა, ისე ხარისხიც თავის კორესპონდენციების სამხედრო სწავლების შესახებ უნდა გაადიდონ და გააუმჯობესონ.

ფართედ და შინაარსიანად გააშუქეთ სამხედრო სწავლება!

# ახალი რადიო-ამბები

## თავისუფლებისათვის მებრძოლ ჩინეთში.

**შანხაის გაფიცვები ძლიერდება. გაფიცვების გამო შანხაის საერთო ზარალი 5 მილიონ დოლარს უდრის. ჩინეთში იზრდება ანტიიმპერიალისტური მოძრაობა.**

## შანხაის მეზღვაურთა გაფიცვები.

შანხაიში ძლიერდება მეზღვაურთა გაფიცვები. გემები მოძრაობენ მხოლოდ დღისით და ღამით იძულებული არიან გაჩერდენ.

**ზარალი.**

საერთო ზარალი, რომელიც მიადგა შანხაის გაფიცვების გამო გამოანგარიშებულია და დაახლოებით უდრის 5 მილიონურ დოლარს

**დახმარება გაფიცულებს.**

მუშათა კავშირთა საბჭომ გადასცა გაფიცულთა სასარგებლოდ 20.000 დოლარზე მეტი, მთელს ჩინეთში გრძელდება შემოწირულების დაგროვება.

რკინის გზის მუშებმა გადასდვენ ერთი დღის შემოსავალი გაფიცულთა დახმარების ფონდისთვის.

**ჩინეთის რკინის გზელები მზად არიან ბრძოლისათვის.**

საერთაშორისო მუშათა დამხმარე საზოგადოებას მანიფესტის პასუხად ჩინეთის რკინის გზელთა ფედერაცია აცხადებს: „თქვენი დახმარება გვიძლიერებს ენერგიას ბრძოლაში. ჩინეთის პროლეტარიატს ესმის, რომ ეროვნულ—რევოლიუციონური ბრძოლის საბოლოო გამარჯვება დამოკიდებულია საერთაშორისო პროლეტარიატის მხრივ თანამშრომლობისა და დახმარებაზე.

## ქართველი ემიგრაციის რღვევა.

ქართველი ემიგრაცია ღრმა რღვევას განიცდის! გერმანიაში უკანასკნელი აქტიური ემიგრანტების ჯგუფი იმნაიშვილის, მგელაძის, ნინუას, ზ. ელიავას და სხვათა მეთაურობით გამოვიდა დეკლარაციით, რომლითაც ისინი, სწყვეტენ ყოველგვარ კავშირს ემიგრაციასთან და სდგებიან საბჭოთა პლატფორმაზე.

გერმანიაში უკვე აღარ არსებობს არც ერთი ქართველ ემიგრანტთა ჯგუფი ან ორგანიზაცია. პარიზშიც დიდი განხეთქილებაა ქართველ კონტრრევოლიუციონერებს შორის.

ემიგრაციის ქვედა ფენები ებრძვიან ზედაფენების ავანტიურისტულ მოქმედებებს. თვით ზედაფენებშიც იჩინა თავი უთანხმოებამ. ეროვნული დემოკრატები სცდილობენ ფაშისტური რაზმების შედგენას. ფულით დახმარებას იღებენ რუსმონარქისტებისაგან.

## ლიუტერის სიტყვა რეინლანდის დღესასწაულზე.



რეინის ქალაქების არსებობის ათასი წლის თავის დღესასწაულის გამო, გერმანიის რეიხსკანცლერმა ლიუტერმა დიუსსელდორფში წარმოსთქვა სიტყვა რომელშიაც სხვათაშორის განაცხადა: „ეჭვი არაა, რომ საოკუპაციო ჯარების მიერ დაკავებული ქალაქები დიუისბურგი გაწმენდილ იქნება საოკუპ. ჯარებისაგან არა უგვიანეს 16 აგვისტოსა, ვინაიდან გერმანია უკვე ასრულებს თავის ვალდებულებებს.

მთავრობა მაინც ძველ აზრს ადგია, რომ ევაკუაცია ვერსალის ხელშეკრულების თანახმად უნდა დაწყებულიყო ჯერ კიდევ 7 იანვარს.

## „როგორ მოვახდინე მღელვარება ჩინეთში“.

**ამხ. ზინოვიევის წერილი.**

დეპეშამ განმაცვიფრებელი ცნობა მოიტანა. თურმე ჩინეთის მოძრაობა მე მომიხდენია. დანაშაულშიაც თვითონ გამოვტეხილვარ. ყველაფერი ეს ლოიდ-ჯორჯის ინგლისის თემთა პალატაში ერთ-ერთ მსხვილმა კონსერვატორ მოღვაწემ დევისონმა.

რამდენად სწორად გამოიცნო ჩემი დანაშაული გამჭრიახმა დევისონმა, მე მინდა სინამდვილით ვაღიარო, თუ როგორ გამოვიწვიე „მღელვარება ჩინეთში“.

ჩემი ბოროტმოქმედება, ბატონო დევისონო, იყოფა ორ ფაზად: ერთია მოსამზადებელი და მეორე რეალიზაციის ფაზა. ჯერ მოსამზადებელ ფაზის შესახებ. მოვიგონოთ რამოდენიმე საზოგადოებრივ ისტორიული ფაქტი.

1. 1839-1842 წლები. პირველი ოპიუმის (გამაბრუებელი, მათრობელა ნივთიერება) ომი. ბატონი ინგლისის იმპერიალისტები ძალად აიძულებენ ჩინელებს იცნონ ინგლისელების უფლება ოპიუმით ვაჭრობისა ჩინეთში. ინგლისის იმპერიალიზმი ყელში უჭერს ხელს ჩინეთის ხალხს.

ნანკინის ხელშეკრულების მიხედვით ჩინელები დიდ კონტრიბუციას იხდიან და „სამხედრო იჯარით“ აძლევენ ინგლისელებს გონკონგს. აი რა შორი დროიდან დავიწყე მე „მღელვარების მომზადება ჩინეთში“.

2. 1856 წელი. მეორე ომი ოპიუმით.

ჩინეთი აძლევს ინგლისელებს 5 ნახ. მილიონ მანეთს, ფრანგებს 3 ნახ. მილიონს. ინგლისელები იკავებენ კულუნს (გონკონგის პირდაპირ). მეფის რუსეთი იჭერს რუსეთის შორეულ აღმოსავლეთს.

3. 1895 წელი. იაპონია თავს ახვევს ჩინეთს ომს და იკავებს ფორმოზეს.

ინგლისი იჭერს ვეიხავეის, რუსეთი—ლიაოდუნის ნახევარ კუნძულს პორტარტურით, გერმანია—ციაო-ჩეოუს ქალაქ ცინდაოთი, საფრანგეთი—გუენჩეოუვანს.

4. 1900 წელი. ბოქსერების აჯანყება. ჩინეთი იხდის 450 მილიონ ჩინურ დოლარს და აძლევს საბაჟოს ინგლისის იმპერიალისტებს. მეფის რუსეთი იჭერს მანჯურიას და მიდის კორეაზე.

5. 1905 წელი. იაპონია რუსეთის წინააღმდეგ გამოდის და ინგლისის დახმარებით იკავებს ლიაოდუნისს ნახევარ—კუნძულს.

6. 1910 წელი. იაპონია იკავებს კორეას, რომელიც ჩინეთის სამფლობელოში იმყოფება.

7. 1914 წელი. იაპონია იკავებს ციაოჩეოუს და პროვინცია შანდუნს.

8. 1917 წელი. ჩინეთი მოკავშირეთა ზეგავლენით „მოხალისედ“ ერევა იმპერიალისტურ ომში თავის მდგომარეობის შემსუბუქების იმედით. ჯილდოდ მიიღო: საბოლოოდ იშოვნა შანდუნი და სცდილობს მონღოლეთის მობოქვას.

1911 წლის ჩინეთის რევოლიუციიდან ევროპის იმპერიალისტები ერთი წუთითაც არ ასვენებენ ჩინეთს. და ბოლოს, საბოლოოდ რომ უზრუნველ ეყოთ „ჩინეთის მღელვარების“ მომზადება, ინგლისისა და იაპონიის ოფიცრებმა ამ დღეებში აამუშავეს თავიანთი ჭკუა:

სროლა ბავშვებზე, მუშებისა და გლეხების ხვრეტა, ტანკებისა და ბრონე მანქანების გასართობი სეირნობა შანხაის ქუჩებში, ზურგში დაჭრილი რამოდენიმე ათეული ჩინელი, ტყვიამფრქვევის ცეცხლი უცხოელთა კვარტალიდან, წყალსადენისა და ელექტრო-სადგურების მუშათა დატყვევება, ჩინეთის ხალხის უნამუსოდ გამასხარავება და სხვა და სხვა. ყველაფერი ეს მოხდა არა ინგლისისა და იაპონიის იმპერიალისტების, არამედ ჩვენი განკარგულებით, ვინაიდან მხოლოდ ჩვენ შეგვეძლო ასე წარმატებით გამოგვეწვია მღელვარება ჩინეთში.“

ამრიგად, ბატონო დევისონო, აშკარად ვაღიარებ მთელი ქვეყნის გასაგონად მე დამნაშავე ვარ ყველა იმ ცოდვებში, რასაც მე მომაწერთ. შემაქვს მხოლოდ ცოტა შესწორება.

ყველა ეს ზემოჩამოთვლილი „მოსამზადებელი“ მუშაობა შესრულებულია თქვენი ბანაკიდან.

ამ „მომზადების“ შემდეგ ჩვენ სულ მცირედი რამ დაგვრჩა გასაკეთებელი. ჩვენ დაგვრჩა მხოლოდ რჩევა მიგვეცა ზოგიერთ ჩინელისთვის თავი დაეხსნა იმპერიალისტურ ბაშიბუზუკების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, სხვებისთვის გვერჩია წაეჭრათ თითი მიტინგზე და სისხლით დაეწერა მოკლე, მაგრამ საგულისხმიერო ლოზუნგები ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ; რჩევა მიგვეცა ას და ათასიან ჩინელი მუშებისათვის გაფიცულიყვენ დაევლოთ ქუჩებში პლაკატებით იმპერიალისტების წინააღმდეგ; შეგვეცდინა ასიათასობით ჩინეთის ვაჭრები და სტუდენტობა შეერთებოდენ ამ დემონსტრაციებსა და სხვა და სხვა.

დასასრულ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ბატონ დევისონის გენიალობა. როგორც სჩანს ეს ჯენტლმენი, ისეთივე ჰკვიანია, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი ხიკსი, რომელმაც უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, რომ გამოსულიყო მაკდონალდის, ტომასისა და კლაინსის დასაცავ სიტყვით—ცოდვით სავსე კომუნისტების წინააღმდეგ. სულითა და გულით ვუსურვებთ მაკდონალდს, ტომასსა კლაინსს, რომ შემდეგშიაც ეშოვნოთ ასეთი ჰკვიანი, და რაც თავი და თავია, მუშათა მასებში გავლენიანი ვექილი, როგორიცაა ხიკსი. მაშინ მათ ბედს ძაღლი ვერ დაჰყეფს“.

„მე დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისის პროფმაძრაობას ფულით ეხმარება „მოსკოვი“-ო ლოიდ-ჯორჯი ხიკსმა;—„ჩინეთის მღელვარება მოახდინა ზინოვიევმა“—ბანი დააწია დევისონმა. დაგვრჩენია მხოლოდ დაუმატოთ: „მთვარეს ჰამბურგში აკეთებენ“, ხოლო „იაპონიის მიწის-ძვრა ხდება კომინტერნის აღმასკომის დეკრეტით“. განაგრძეთ ასე პატივცემულო ჯენტლმენო! გაერთობი მაინც!

გ. ზინოვიევი.

## ამუნდსენი გამოჩნდა.

მფრინავი—მოგზაური ამუნდსენი, რომელიც ამას წინად გაფრინდა სამხრეთ პოლიუსის გამოსაკვლევად და მას შემდეგ არაფერი ისმოდა მის შესახებ,—უკანასკნელი ცნობების მიხედვით ჩამოფრენილა ისევ კუნძულ შპიცბერგენზე.

ორშაბათს, ივნისის 22-ს, საღამოს სრულ 6 საათზე, ტფილისის ალმასკომში მოწვეულია ტფილისის საბჭოს შემდეგი სექციების სხდომა.

1. კომუნალურის წითელი თეატრში (ყოფ. ზუბალაშვილის)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1) მოხსენება წყალსადენის შესახებ.
2) მიმდინარე საკითხები.

11. საფინანსოსი (ოთახი № 17)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1) 1925/26 წლ. ბიუჯეტისათვის საორენტო ციფრების დაწესების შესახებ.
2) მიმდინარე საკითხები.

111. განათლების (ოთახი № 32).

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1) სექციის საბოლოო გეგმის მიღება,
2) სკოლების დამხმარე საბჭოების წესდების გაცნობა,
3) დამხმარე საბჭოების კონფერენციის მოწვევა,
4) ახალი სასკოლო ჯგუფების შესახებ,
5) მიმდინარე საკითხები.

4. ჯანმრთელობის (ოთახი № 57).

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1) სამკურნალო ქვე/სექციის მუშაობის გეგმის განხილვა,
2) სანიტარული-ეპიდემიოლოგიურ ქვე/სექციის მუშაობის გეგმის განხილვა,
3) სან-ეპიდემიოლოგიურ ქვე/სექციის დებულება, სან-უჯრედების, რაიონულ სან-საბჭოების, ბიუროების, შრომის, ყოფა-ცხოვრების გამჯანსაღებელ კომისიების და ცენტრალურ სანიტარულ კომისიის მოწყობის შესახებ,
4) მიმდინარე საკითხები.

5. სოფლად მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის (ოთახი № 66).

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1) მიწათ-მოწყობის შესახებ,
2) აგრო-დახმარების და სამეურნეო იარაღების შესახებ,
3) მიმდინარე საკითხები.

6. სამხედროსი (აღმასკომის დარბაზში).

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1) საბინაო საკითხი,
2) მოხსენება დემობილიზაცია ქმნილ წითელ-არმიელთა დებულების შესახებ,
3) მიმდინარე საკითხები.

სექციებში ჩაწერილ ყველა საბჭოს წევრთა გამოცხადება დანიშნულ დროზე სავალდებულოა. საბჭოს წევრები, რომელნიც არ ჩაწერილან არც ერთ სექციაში, ვალდებულნი არიან ჩაეწერონ აუცილებლად ამავე დღეს.

ტფილისის საბჭოს სექციების მუშაობის
ხელმძღვანელი **არ. რუხაძე.**

# პარტიული ცხოვრება.

## 1-ლ ლეგიონის სკოლის კომუჯრედის ცხოვრებიდან.

მას შემდეგ რაც აღნიშნული სკოლა გავიდა საბანაკოდ, კომუჯრედმა საგრძნობლად გააცხოველა თავისი მუშაობა. შედგენილი იქნა საზაფხულო მუშაობის გეგმა, სადაც ისიც არის შეტანილი, რომ თუ დროს უქონლობა ხელს არ შეგვიშლის, კავშირი დავიჭიროთ რომელიმე სოფელთან.

კრებები კომუჯრედში სისტემატიურად იწვევა. სხვა და სხვა მუშაობის გარდა კომუჯრედი ხელმძღვანელობას უწევს აგრეთვე სკოლის ახკომკავშირელთა უჯრედს. უპარტიოებში კომუჯრედი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

ამას ამტკიცებს მათი ერთსულოვანი სიარული კომუჯრედის სხდომებზე.

პარტიაში შესვლის მსურველები ბევრია მათ შორის.

კომუჯრედში ამ უკანასკნელ ხანებში დაარსებული იქნა პოლიტკოლექტივი პარტწევრების გააქტივების მიზნით, რომლებმაც უნდა აწარმოონ მეცადინეობა პოლიტიკურ დარგში მსურველ მოლაშქრეთა შორის.

ამას გარდა უჯრედს განზრახული აქვს კავშირი დაიჭიროს მეცხრე ლეგიონის სკოლის უჯრედთან, თუ რაიმე ტეხნიკური დაბრკოლებანი არ გადაგვეღობა წინ.

**წ. არმ. ა. მახარაძე.**

## ლენ. ახკომკავშირელთა შორის.

(მეხუთე ლეგიონი.)

13 ივნისს ჩვენს ნაწილში პირველად მოწვეულ იქნა ნაწილის კომკავშირის წევრთა გაერთიანებული კრება ადგ. საქსოვ ქარხნის ახკომკავშირის უჯრედის წევრთა თანდასწრებით.

სანამ კრება შეუდგებოდა დღიური წესრიგის საკითხების გარჩევას, სამხედრო ნაწილისა და სამოქალაქო ორგანიზაციების ურთი-ერთ კავშირის შესახებ ილაპარაკა ამხ. ანდღულაძემ.

კრების დღის წესრიგის პირველ საკითხზე—ჩინეთის ამბებზე მოხსენება გააკეთა საქსოვი ქარხნის კომკავშირის უჯრედის წევრმა ამხ. როგაძემ, რომელმაც გასაგები ენით გააცნო დამსწრეთ ჩინეთის მიმდინარე ამბები და ამ ქვეყნის ხალხთა ბრძოლა კაპიტალისტების ულლისაგან განთავისუფლებისათვის.

მოხსენების გარშემო შეკითხვების შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია რომ, კრება თანაგრძნობას უცხადებს ჩინეთის ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას და სხ.

ტერ-სისტემის ამოცანებზე და ცვალებადელების შეკრების შესახებ მოხსენებას აკეთებს ლეგიონის პოლიტხელი ამხ. ანდღულაძე, რომელმაც ვრცლად გააცნო კრებას ტერიტორიალური ნაწილებისა და ცვალებადელების შეკრების მნიშვნელობა და სხ.

მიმდინარე საკითხებში კრებამ დაადგინა: გამონახონ რომელიმე ჩამორჩენილი სოფელი და გაუწიონ კულტურული შეფობა.

**სამხკორი რუსპირელი.**

## სამხედრო საქმე.

### ბრძოლა ტყეში.

ჯარმა უნდა შეისწავლოს ბრძოლა ყოველგვარ ადგილმდებარეობაში: ვაკე ადგილებში, ველებში, მთაგორიან ადგილებში, ტყეში და ასე შემდეგ.

ჩვენ ბევრი ტყეები გვაქვს, ისინი დიდ სივრცეებს ჰფარავენ არა მარტო ჩვენი ქვეყნის შიგნით—ცენტრში, არამედ განაპირა კუთხეებშიაც, ე. ი. იქ სადაც მოსალოდნელია საომარი შეტაკებანი. ყველა ესენი გვიჩვენებენ იმას, რომ უნდა შეგვეძლოს ტყეში ბრძოლაც. ეხლანდელი ჩვენი ბანაკები უმთავრესად მოთავსებული არიან ტყეებში, მაშასადამე სამეცადინო საათები გავლილი იქნებიან ტყიან ადგილებში.

როგორია ტყეებში მოქმედების თავისებურებანი?

პირველად ყოვლისა, ტყეში ძლიერ სჭირს საჰაერო და მიწაზე თვალთვალი. ეს დიდი უპირატესობაა იმ მეომარი მხარისათვის, რომელსაც ყავს უფრო სუსტი ავიაცია. მაგრამ ტეხნიკურად უფრო ძლიერი მოწინააღმდეგეც ყოველთვის ისარგებლებს ტყეებით, რათა დაჰფაროს თავისი ჯარები განსაკუთრებით საჰაერო თვალთვალისაგან.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზამთრობით ფოთლოვანი ტყე შიშვლდება და თვალთვალისაგან ვეღარ იფარავს.

ტყეში ძნელია კავშირის დაჭერა, რადგან ხეები ხელს უშლიან დანახვაში.

ტყეში მეტად ძნელდება მო-
ქმედება: ქვემეხს, ცხენოსნებს,
ტანკას. ამიტომ ბრძოლის მთე-
ლი სიმძიმე აწვება ქვეითებს.

რადგან ტყეში შეუძლებე-
ლია დიდ მანძილზე დანახვა
და ძნელი ხდება ხედვითი და
ცეცხლის საშვალებით კავში-
რი, ამიტომ ომი ტყეში ჩვეუ-
ლებრივად იყოფა მთელ რიგ
წვრილ შეტაკებებად.

ამიტომ საჭიროა მცირე
ჯგუფებით მოქმედების ცოდნა
და ხანდისხან ცალკეულადაც
კი. აქ საჭირო არ არის ზევი-
დან განკარგულებისათვის მო-
ლოდინი, არამედ თითეული
მეომარი თვით უნდა ეცადოს
მიაღწიოს საერთო მიზანს—და-
ამარცხოს მტერი.

ცხადია, რომ ტყეში ძნელი
გაგნებაზე დადგომა, ე. ი. გა-
იგო სად იმყოფები, სად არიან
მეზობლები, საით აიღო მი-
მართულება და სხვა.

ბოლოს, ტყეების მოწამლვა
ქიმიური აირებით ადვილია
და ამასთანავე ეს აირებიც უფ-
რო დიდხანს რჩებიან იქ, ვი-
დრე გაშლილ ადგილებში.

ყველა ეს თავისებურებანი
დიდ გავლენას ახდენენ ჯარის
მუშაობაზე ტყეებში, ე. ი.
ძიებაზე, ლაშქრული წესით
მოძრაობასა, მის დაცვაზე და
ბრძოლის წარმოებაზე.

თუ როგორ უნდა ვაწარმო-
ოთ ძიება, ვიმოძრაოთ და ვა-
წარმოოთ ბრძოლა ტყეში—
ამის შესახებ შემდეგ გვექნება
ლაპარაკი.

**პ.**

## ტერიტორიალური არმია და მისი მნიშვნელობა.

(დასასრული)

არ შეგვიძლია დავფაროთ, რომ წითელი საფრთხე არსებობს, მაგრამ ის იბადება საკუთარ ბურჟუაზიულ ქვეყნებში ბურჟუაზიისა და მუშათა კლასს შორის ინტერესთა წინააღმდეგობის გამწვავების ნიადაგზე. კაპიტალისტური წარმოების სისტემა ისტორიის ჩარხის მიერ განწირულია და რა დამნაშავეა საბჭოთა ხელისუფლება იმაში, რომ ბურჟუაზიამ ვერ მოაწყოს თავისი არსებობა ისე, რომ წითელი საფრთხე არ ელანდებოდეს.

მაგრამ ყვირილი წითელი იმპერიალიზმის შესახებ—ეს არის ფარდა, რომლის უკან იფარება შავი იმპერიალიზმი.

წითელი იმპერიალიზმის საფრთხის შესახებ განგაში მათ ესაჭიროებათ იმისთვის, რომ დაჰფარონ თავიანთი აგიტაციის საშუალებანი ჩვენს წინააღმდეგ, რომ გაამართლონ თავიანთი თავხედური ზრახვები მშრომელთა მასების წინაშე.

აი რატომ სდგება საბჭოთა კავშირის წინაშე წითელი არმიის ძლიერების განმტკიცების საკითხი. მილიციონური სისტემა ერთი საუკეთესო ფორმათაგანია სამხედრო ცოდნის გასავრცელებლად მუშათა და გლეხთა ფირთე მასებში. მაგრამ მისი სავსებით განხორციელება შეუძლებელია თანამედროვე პირობებში, ამიტომ ჩვენ უნდა შევაუღლოთ წითელი არმიის აღმშენებლობის ორი ფორმა—მილიციონური და კადრი, და სოციალისტური სახელმწიფოს განვითარება-განმტკიცების პროცესში თანდათან გადავიდეთ მთლიანად სახალხო მილიციაზე.

ჩვენ ვიცით, რომ მსოფლიო ომის დროს ძირითადი (კადრი) არმია მთელი არმიის 15—20 პროც. შეადგენდა. ამრიგად მსოფლიო ომის ბედს სწყვეტდა საყოველთაო შეიარაღება. გერმანიას მშვიდობიან დროს ჰყავდა 800.000-ნი არმია, ომის დროს ეს არმია ავიდა 10 მილიონამდი, საფრანგეთის არმია 700.000-დან ავიდა 6 მილიონამდი; რუსეთს ომის დროს ჰყავდა 14 მილიონიანი არმია, მშვიდობიან დროს კი 1 მილიონი და 700 ათასი.

თუ რომ წარსულმა ომმა ამოდენ ადამიანთა ენერგია მოითხოვა, ცხადია, თანამედროვე, განვითარებულ ტეხნიკის პირობებში მომავალი ომი უფრო მეტ მასიურ ძალებს, მოითხოვს საბჭოთა კავშირისაგან, ვინაიდან მოსალოდნელია ქვეყნის ყოველ პუნქტში გაჩნდეს მტერი ჰაეროპლანის საშუალებით და სხვა.

სახელმწიფოს არ შეუძლია იყოლიოს ისეთი არმია, რომლითაც დაჰფაროს მთელი თავისი ტერიტორია; აქ დიდ როლს ითამაშებს მთელი მოსახლეობის მომზადება, რათა თავის დროზე შეიძლებოდეს შეიარაღებულ ძალების გაგზავნა ამა თუ იმ ადგილზე მტრის წინააღმდეგ.

თანამედროვე ომის დროს მოწინავე ხაზი და ზურგი ერთნაირი საზრუნავი საგანი იქნება დაცვისათვის.

მტერი ეცდება როგორც ფრონტის შემუსვრას, ისე ზურგში ზარალის მოყენებას. ასე რომ მთელ მოსახლეობას უნდა ესმოდეს თავდაცვის საქმე, რათა გადაირჩინოს საკუთარი სიცოცხლე და თავისი მეურნეობა. ჩვენს ტერ-არმიას შეუძლია და კიდეც უნდა გახდეს სამხედრო ცოდნის გამტარებელი მუშათა და გლეხთა მასებში. ტერ-აღმშენებლობის საქმის დაყენება დამოკიდებულია მუშათა და გლეხთა მასების დისციპლინიანობასა და შეგნებაზე. წვევამდელთა მომზადების ფართედ განვითარება დიდ როლს თამაშობს და ამ ამოცანას თანდათანობით განახორციელებს საბჭოთა ხელისუფლება.

ბურჟუაზიულ ქვეყნების სამხედრო მზადების მიხედვით, ჩვენ უნდა გვყავდეს მუდმივად არა ნაკლებ ორ მილიონი კაცისა თოფ ქვეშ, რაიც მოითხოვს დიდ ხარჯებს და მშრომელთა დიდი ხნით მოშორებას მშვიდობიან შრომისაგან; ტერ-სისტემა კი არავითარ ზიანს არ აყენებს მშვიდობიან შრომას და მშრომელი იოლად იხდის სამხედრო მოვალეობას. გასაწვევ ასაკს ყოველ წლიურად შეუძლია მისცეს არმიას ერთი მილიონი ახალგაზრდა. ასეთი დიდძალი მუდმივი არმიის შენახვა რამოდენიმე წლით დიდ ხარჯებს გამოიწვევს, ხოლო მეორეს მხრივ 560 ათასიანი არმია ვერ დააკმაყოფილებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეს. თუ დღეს ჩვენი არმია უჯდება მოსახლეობას თითო სულს სამ-სამი მანეთი, 2 მილიონიანი არმია მოითხოვს ოთხჯერ მეტს. ხოლო ეს კი მეტად შეუშლის ხელს ჩვენი მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის განვითარებას.

აი რაში მდგომარეობს ეკონომიური სარგებლიანობა ტერ-სისტემისა. ტერ-სისტემით მიღწეულ იქნება ორი მიზანი: მატერიალური სარგებლობა, რომელიც მოხმარდება ჩვენს მრეწველობას და მეურნეობას, და მთელი მოსახლეობის სამხედრო მომზადება—მთელ ქვეყანაზე არსებულ ერთად-ერთ სოციალისტურ სახელმწიფოს წარმატებით დასაცავად.

ჩვენ კავშირში მოსახლეობს ბევრი მცირე ეროვნებანი, რომელთაც დღემდისაც არ მოსწევიათ არმიაში სამსახური, ხოლო მათი საქმიანობა თავდაცვის საქმეში მეტ ნაწილად პარტიზანულ ხასიათს ატარებდა. ტერნაწილების შექმნით მათი მონაწილეობა თავდაცვის საქმეში უფრო ორგანიზაციული იქნება ჩვენს წითელ არმიასთან ერთად.

მათი ძირითად არმიაში გაწვევა მიზანშეუწონელია ენის უცოდინარობის გამო; ტერ-სისტემის დროს კი მას არ

გაუჭირდება ენის უცოდინა-
რობით და სხვა.

გლეხობასთან კავშირის საქ-
მეში ტერ-არმიას შეუძლია დი-
დი როლი ითამაშოს გლეხო-
ბაში პოლიტიკური მუშაობი-
განვითარებით, კოლექტიურ-
დახმარებით, სხვა და სხვა კუ-
ლტურულ—საგანმანათლებლო
დაწესებულებების მოწყობით და
რაც მთავარია,—მინდვრები-
კოლექტიური დამუშავებით
აი რა დახმარება შეუძლია გა-
უწიოს ტერ-არმიელმა გლეხო-
ბასა და ხელისუფლებას. საჭი-
როა დაკვირვებული და შეგ-
ნებული მიდგომა ამ საკითხი-
სადმი,—რომ ტერ-ნაწილები
გახდენ საუკეთესო ბრძოლი-
უნარიანი ნაწილები,—მით
უმეტეს, რომ ამ მუშაობა
ბევრი სიძნელე ახლავს თან
როგორც კადრის, ისე ტერ-
ნაწილების მომუშავეებმა მიზ-
ნად უნდა დაისახონ რაც შე-
ძლება მუშაობის კარგად და-
ყენება, რათა სათანადოთ დავ-
ვირგვინდეს ეს დიადი საქმე
ცვალებად—არმიელთა ამოცა-
ნაა—დაუმტკიცოს ქვეყანას,
რომ საბჭოთა კავშირის თავ-
დაცვის საქმე მუშათა და გლე-
ხთა საიმედო ხელშია.

**ვ. სიხარულიძე.**

# ქართულ მეთაურთა სკოლას, მისი სახელოვან მოღვაწეობის ოთხი წლის თავზე ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔ ᲡᲐᲚᲐᲛᲘ!

## ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ.

### ქართულ გაერთიანებულ სამხედრო მეთაურთა სკოლის უფროსს და სამხედრო კომისარს.

რევოლიუციონური სამხედრო საბჭო სკოლის ბრწყინვალე არსებობის 4-ხი წლის თავზე ესალმება მეთაურებს, პოლიტმომუშავეებს და სამხედრო მსახურებს და უსურვებს მათ ნაყოფიერ მუშაობას მ. და გ. წითელი არმიის მებრძოლ მეთაურების მომზადების საქმეში.

კ. წ. დროშოვან არმიის რევოლიუციონური სამხედრო საბჭო—ᲙᲝᲠᲙᲘ ᲠᲐᲢᲜ,ᲔᲙᲘ.

### ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲡ.

ვესალმები ჩემს ძვირფასს სკოლას, ვულოცავ წლის თავს და ვუსურვებ აყვავებას ქართული წითელი არმიის გაძლიერებისათვის.

მ. გ. წ. ა. შტაბის უფროსის მოადგილე ᲞᲣᲒᲐᲩᲝᲕᲘ,

## ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ.

დღეს ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლა დღესასწაულობს თავის არსებობის 4-წლის თავს.

1921 წლის ივნისიდან განვლო შრომის, სწავლის, ბრძოლის და გამარჯვების ოთხმა წელმა. ოთხი უკან დატოვებული წელი სკოლის ისტორიისა სავსეა უამრავ მაგალითებით ბრძოლისა, თავგანწირვისა, უმაგალითო სიძნელეთა გადალახვისა და გაბედულად, უშიშრად წინსვლისა და გამარჯვებისა, როგორც სამხედრო ისე საერთო სწავლების ფრონტზე.

### 1921 წელი.

ეს პირველი წელი სკოლის არსებობის წელთ-აღრიცხვისა, წელი სკოლის ორგანიზაციულად ჩამოყალიბების დაწყებისა, ოდნავად არ წაავავს სკოლის არსებობის სხვა წლებს. კურსანტთა რიცხვი ამ წლის განმავლობაში, თითქმის არ აღემატებოდა ერთ ოცეულს. სკოლა მოკლებული იყო სასწავლო ნივთებს, გადადიოდა ბინიდან ბინაზე, არ ქონდა სათანადოთ მოწყობილი სასწავლო ოთახები და სხ. ცუდი იყო სკოლის ეკონომიური მხარეც.

ამ პირობებში მთელი მისი შემადგენლობა თავკამოდებით ეწევა მუშაობას., ხელს უწყობს მის ხარისხობრივ ამაღლებას და რიცხვობრივ გაზრდას. გუთნიდან დაზგიდან სკოლას თანდა-თანობით ემატება ახალი ძალები. ამავე დროს სკოლის მასწავლებელთა შემადგენლობაც არ არის დამაკმაყოფილებელი.

აღნიშნულ წელში სკოლაში არ არის კლუბი და საკლუბო მუშაობა. ბიბლიოთეკის არსებობა—თუმცა ის არის—ბევრად საინტერესო არაფრითაა, თუ არ მხოლოდ გაზეთებით. იქ არ იყო წიგნები, სახელმძღვანელოები და სხ.

სკოლაში კომისრიანად ოთხიოდე პარტიის წევრია და კა-



სკოლის უფროსი ამხ. გედევანიშვილი.

ნდიდატი და თორმეტიოდე კომკავშირის წევრი. პარტიული მუშაობა, რა თქმა უნდა, ამ პირობებში ძალზე სუსტი იყო.

### 1922 წელი.

ეს წელი არის დასაწყისი სკოლის საგრძნობლად მოლონიერების, გაფართოვების და პირველი საბრძოლო ნათლობის მიღებისა. საქართველოს ყოველი მხრიდან მოდიან ახალი ძალები. კურსანტთა შემადგენლობა დღითი დღე ხარისხობრივ უმჯობესდება. შეუფერებელი ელემენტებიდან სკოლა იწმინდება. ახალი ძალების მიღება მეტის შერჩევით ხდება. მეტი ყურადღება ექცევა კანდიდატების სოციალურ მდგომარეობას. მასწავლებელთა შემადგენლობის თან-და-თანობით წმენდასთან ერთად იწმინდება ენაც.

სასწავლო ნივთებიც ცოტათი მატულობს. სწავლების მეთოდი იგივე ლექციანურია.

მეთაურთა შემადგენლობა მუდმივ მოძრაობისაგან თავისუფლდება და თავის საქმეს უფრო უახლოვდება. პარტორგანიზაციის წევრთა რიცხვი იზრდება,—სკოლა ითვლის თავის რიგებში 20 პარტიის წევრს და კანდიდატს და 80-დე კომკავშირის წევრს. სკოლის ბინიდან ბინაზე სიარული ამ წელშიაც არ არის შეწყვეტილი, რაც ხელს უშლის მის ნორმალურ მეცადინეობას.

საძირკველი ეყრება საკლუბო მუშაობას. ბიბლიოთეკაც თან და თანობით ცოცხლდება. ამ წელს სკოლა პირველად გადის საბანაკოთ.

საბანაკო პერიოდის დასასრულს სკოლა ღებულობს მონაწილეობას ჩოლოყაშვილის ბანდების წინააღმდეგ. ეს არის სკოლის პირველი საბრძოლო ნათლობის მიღება ხევსურეთის მიუვალ მთებზე, სადაც მისმა მუდმივმა და ცვალებადმა შემადგენლობამ დაამტკიცა რევოლიუციონური შეგნება და საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე ფხიზლად ყოფნა.

სკოლის პირველი გამოშვება წითელი მეთაურებისა ხდება 5 დეკემბერს 1922 წელს. ას ცხრა წითელ მეთაურს აძლევს სკოლა ქართული ლაშქრის სხვა და სხვა ნაწილებს.

სკოლა კვლავ ივსება ახალი კურსანტებით-- მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობით.

### 1923 წელი.

ეს წელი სკოლის ცხოვრებისათვის შეიძლება ჩაითვალოს ნორმალური სწავლების პირობებში გადასვლის წლად.

ეს წელი იწყება სკოლისათვის ახალი საბრძოლო ნათლობის მიღებით გურიის მშვიდობიან მცხოვრებთა ამწიოკებელ ყაჩაღთა წინააღმდეგ ექსპედიციაში.

ექსპედიციის შემდეგ სკოლა დგება სწავლების ნორმალურ პირობებში. სკოლა კარგად ეწყობა ეხლანდელ მუდმივ ბინაზე. აწყობს აქ სხვა და სხვა კაბინეტებს, ლაბორატორიებს, კლუბს, სამკითხველოს, წითელ კუთხეს. ის ღებულობს უამრავ სამოსწავლო ნივთებს და სხ.

ძლიერდება სკოლა. ძლიერდება მუდმივი შემადგენლობა.

ამ წლიდან სამართლიანად შეიძლება აღინიშნოს, რომ სკოლა ზრდის არა მარტო ვიწრო სამხედრო სპეცს, არამედ რევოლიუციონურ სამხედრო აღმზრდელთან ერთად—აღმზრდელს რევოლიუციონურ მოქალაქისას. ძლიერდება სკოლის პარტიული ორგანიზაცია და აქედან გამომდინარე პარტიული მუშაობაც. კომპარტიის წევრთა და კანდიდატთა რიცხვი 50 კაცამდე აღწევს, კომკავშირის რიცხვი კი 200-



სკოლის კურსანტთა უფროსი ჯგუფი.

მდე. მათი მუშაობა ერთი ათად გაიზარდა. ერთი ათად მომწიფდა სკოლა.

1923 წლის მაისში სკოლა ღებულობს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ცაკისაგან წითელ ორდენის დროშას, რაც მან ღირსეულად დაიმსახურა საქართველოს მშრომელთა წინაშე.

### 1924 წელი.

სკოლის პირველი ნორმალური გამოშვების წელია და მესამე საბრძოლო ნათლობის მიღებისა აგვისტოს აჯანყებაში. იდღესასწაულა რა თავის არსებობის 3 წლის თავი, სკოლამ რამოდენიმე დღის შემდეგ მისცა ქართულ წითელ ლაშქარს ახალი ასეული წითელი მეთაურებისა. ამ გამოშვების შემდეგ შეავსო, რა მან თავისი რიგები შეუდგა სწავლას ახალ უფრო კარგ პირობებში.

### 1925 წელი.

ივნისის 21-ს სკოლა იდღესასწაულებს რა თავის არსე-



სამხკომი ამხ. სიჭინავა.

ბობის 4 წლის თავს, მისცემს ჩვენს წითელ ლაშქარს წითელ მეთაურების, ძლიერ ძალებს, წითელ არმიელთა ახალ აღმზრდელთ სამხედრო და პოლიტიკურ დარგში.

### სკოლა და გლეხობა.

ასრულებს რა თავის დიდ რევოლიუციონურ ვალს სწავლებისა და ბრძოლის ფრონტებზე, სკოლას მუდამ ახსოვს თავისი კულტურულად ჩამორჩენილი მოძმები—გლეხობა და არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვის მას კულტურულ განმანათლებელ და სამეურნეო ფრონტებზე საქართველოს მშრომელთა წინაშე. არა ერთი გლეხის ოჯახი გამოუყვანია მას გაჭირვებისაგან, არა ერთი და ორისთვის აღმოუჩენია მას კულტურული, მორალური, იურიდიული, სამეურნეო და სხვა დახმარება, არა ერთი და ორი ქოხ-სამკითხველოსათვის ჩაუყრია სოფლად საფუძველი საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში და მომავალ მუშაობის პროცესში არასოდეს აწიც არ დაივიწყებს სოფლის კულტურულ აღორძინების საქმეს.

ასე ისწავლის, იშრომებს და იბრძოლებს სკოლა სამხედრო და კულტურულ-განმანათლებელ ფრონტებზე და შესძენს ჩვენს წითელ ლაშქარს ახალ აღმზრდელებს, მშრომელთა დამცველებს.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან ქართულ მეთაურთა სკოლას.

ტიშე.

## ᲒᲐᲜᲐᲙᲨᲘ.

### საარტილერიო ლეგიონი.

პაპანაქება სიცხეა. ველზე ბული სდგას. კარავებში სული გეხუთება კაცს. არ იცი სად შეაფარო თავი...

ჩვენი წითელი არტილერისტები მაინც არ სცხრებიან.. მეცადინეობენ, სწავლობენ.

აგერ პოლიტსაათიც ტარდება... უცოდინართა ჯგუფის მასწავლებელი უჩიჩინებს არმიელებს: „შრომის დროშა წითელია, წითელია შრომის დროშა“...

წითელ არმიელები სცდილობენ ქუდებით დაიფარონ სიცხე და განაგრძობენ სწავლას.

—ბიჭო შინიდან რომ მოვედი ერთი ასოც არ ვიცოდი და ეხლა კი წერილებსაც ვწერ... ჩემი თავი სიზმარში მგონია—ეუბნებოდა თედო თავის ამხანაგს.

აგერ ძლიერი ჯგუფი გულმოდგინეთ მეცადინეობს.

პოლიტხელი ელაპარაკება მათ ინდოეთის შესახებ.

არმიელები ყურადღებით უსმენენ და სცდილობენ სწორად უპასუხონ ყველა კითხვებზე.

ამხ. პანკევიჩი აწყობს მესამე ბატარეიის ლენკუთხეს.. შუბლზე ხვითქი გადასდის სიცხისაგან, მაგრამ მაინც მუშაობს. ორმაგი ასოებით დააწერა კარვის წინ: „ლენინის კუთხე“.

გვერდებიდან კი კარავს გაუკეთა ვარსკვლავები.

შიგნით მოაწყო ბელადების სურათებით."

დღეს საბანაკო კედლის გაზეთიც გამოვიდა.

სამხკორი ნიჟარაძე.

## ᲐᲮᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ.

### მეთაურთა სკოლა

ივნისში მეთაურთა სკოლის პირველ ასეულში შესდგა ახალგაზრდა ლენინელთა კავშირის ღია კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება კავშირის სოფლად მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი ამხ. არობელაძე გარკვევით შეეხო თუ როგორი მომზადებული უნდა იქნეს გლეხებთან სამუშაოდ მისული კომკავშირელი. ამხ. მოიყვანა მთელი რიგი შემთხვევების, თუ როგორ შეიძლება გლეხების მიერ მიცემულ შეკითხვებში ვერ გაერკვენ კომკავშირელები.

ამის გამო ხშირად ხდება, რომ უპასუხებ რაღაც აბდაუბდას, თვითონაც არ იციან რას და სხვა.

ამხანაგმა ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი სოფლად მომუშავე ლენინელთა მომზადების საკითხს და მოუწოდა ამხანაგებს ყურადღებით მოეპყრან ამ საკითხს. კრებამ სათანადო რეზოლიუცია გამოიტანა მოხსენების ირგვლივ და შემდეგ გადავიდა კავშირში მისაღებ ამხანაგების განცხადებების განხილვაზე, რომლებიც დამტკიცებული იქნენ წევრებად.

ახკორი შ. დოლიძე.

## ბრძანებას სისრულეში მოყვანა უნდა.

პირველ ლეგიონში ზოგიერთი ბრძანებები სისრულეში არ მოყავთ, ვისაც ეს ეკუთვნისთ.

15 ივნისს ბრძანება იყო გაცემული ლეგიონისადმი, რომ ერთი კვირით დაეპატიმრებიათ შტაბის ერთ-ერთი გადამწერი, სამნეო გუნდში 10 საათის შემდეგ ხმაურობისა და უწესრიგო საქციელისათვის, რომელმაც მოსვენება არ მისცა დაღლილ-დაქანცულ წითელ არმიელებს.

მაგრამ მიუხედავათ ყოველივე ზემოაღნიშნულისა, ეს ბრძანება არ იქნა სისრულეში მოყვანილი, რაც ცუდ გავლენას ახდენს წითელ არმიელებზე. ამითი ეცემა ნაწილის საერთო სამხედრო დისციპლინა, რაც არასასურველ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს.

შემდეგში საჭიროა მიაქციონ უფრო მეტი ყურადღება ნაწილის დისციპლინის საკითხს, რომ აღარ გამეორდეს მსგავსი შემთხვევები.

სამხკორი: შ.—განი.

**სამხკორო!** შენ ცოტას იწერები სამხედრო სწავლების, პარტიულ ცხოვრების შესახებ! მოიწერე ვინ არის კარგი მსროლელი შენს ნაწილში!

უფრო ფართედ გააშუქე საბანაკო სწავლება!

## გამოასწორეთ ნაკლიც.

პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ბატარეიების წითელ არმიელებისათვის და არტსკოლის კურსანტებისათვის სადილი კეთდება ერთად, ერთ ქვაბში, რომლის დარიგების დროს დიდ აურზაურს და ხშირად ჩხუბსაც აქვს ადგილი.

ყველა ბატარეია ცდილობს სადილი მიიღოს პირველ რიგში, რადგან იციან რომ უკანასკნელად მიღებული სადილი არ ივარგებს.

საკვირველია, რათ მოაწყვეს ასე ეს საქმე! ნუ თუ არ შეიძლება ყველა ბატარეიამ თავისთვის მოხარშოს სადილი.

საჭიროა მიაქციოს ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება ლეგიონის სამნეო ნაწილის უფროსმა და მოაგვაროს ეს საკითხი.

წ. არმიელი ბარათაშვილი.

## ჩვენი დამოკიდებულება № ბანაკში მდგომ სხვა ნაწილებთან.

პირველი ლეგიონის მეორე ათასეული ამ ჟამად იმყოფება ბანაკათ.

მათთან მეზობლად იმყოფებიან სხვა და სხვა კუთხეებიდან მოსული ადერბეიჯანის და სომხეთის ნაწილები. ბანაკი გადაჭიმულია რამოდენიმე ვერსის მანძილზე, რომელიც საუცხოვო სანახაობას წარმოადგენს.

ჩვენმა ათასეულმა ბანაკში მისვლისთანავე დაიკავა მჭიდრო კავშირი ნაციონალურ სხვა და სხვა ნაწილებთან. ჩვენ ბანაკში მისვლის პირველ ხანებში ბევრი რამ გვაკლდა, მაგრამ იქ მდგომ ნაწილებმა გაგვიწიეს მათანადო დახმარება.

ჩვენი ათასეულის წითელ-არმიელებში აღმოჩნდენ ისეთები, რომლებმაც იცოდენ სომხური, თათრული და რუსული ენები. ამ საშუალებით ჩვენ დაუახლოვდით სხვა და სხვა ნაციონალურ ნაწილების წითელ-არმიელებს და დაწვრილებით გავეცანით ურთი-ერთ ყოფა—ცხოვრებას.

ასეთმა დაახლოვებამ, ერთი მეორის მდგომარეობის გაცნობამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ-არმიელებში.

სამხკორი ვ—ნი.

## ტყვილა სჭამენ.

1-ლ ლეგიონის სამნეო გუნდში არის ორი დიდი აქლემი, რომლებისგანაც არაფერი არ კეთდება, მხოლოდ ჭამით კი აუარებელს სჭამენ.

აქლემები თავისუფლად დადიან ეზოში და ხეებს აფუჭებენ. ამის შესახებ იყო მოთავსებული უკვე გაზეთში, მაგრამ ჯერ ჯერობით კი არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ. უკვე რამოდენიმე ხანი ვმსახურებთ აქ და ჯერ მათი გაფუჭებულის მეტი გაკეთებული ჩვენ არ გვინახავს. უფრო მეტი სასარგებლო იქნებოდა, რომ აქლემებს გაყიდდენ და ამ ფულით კი ცხენებს იყიდდენ, რომელნიც უფრო მეტი სასარგებლო იქნებიან ლეგიონისათვის.

საჭიროა ყურადღების მიქცევა და თავიდან აშორება ზედმეტი ხარჯების, რომელიც გამოწვეულია ამ ტყვილა მჭამელებისაგან.

სამხკორი ჟონეთელი.

## ჩვენი საკავშირო კომისიის საქმიანობა.

მესამე ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონში თითქმის ყველა ორგანიზაციებია ჩამოყალიბებული და მათ შორის საკავშირო კომისიაც, რომელსაც ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია თავისი მუშაობა. კომისიის საშვალებით ლეგიონს შეფობის ქვეშ ყავს აყვანილი ს. წყალტუბო და ყოველგვარ დახმარებას უწევს მას. არც ბანაკში გასვლის შემდეგ დავიწყებია ეს სოფელი და აქედანაც ვაწვდით ლიტერატურას და სხვა.

ლეგიონმა სამხედრო სკოლასთან ერთად აიღო შეფობა ერთერთ ადგილობრივ სოფელზე, რომელსაც უწევს კულტურული ხასიათის დახმარებას.

ამასგარდა საკავშირო კომისია დიდ ყურადღებას აქცევს არმიელების სოფლებთან დამოკიდებულების საკითხს. პირველი იანვრიდან საკავშირო კომისიაში შამოვიდა სულ 57 განცხადება. მათ შორის მარჩენალის შესახებ 17; სამეურნეო გადასახადზე 24, რის შესახებ თავის დროზე ეგზავნებოდა მიმართვები ადგილობრივ აღმასკომს. ამათ გარდა იყო განცხადებები ავადმყოფობის გამო დახმარებაზე, უკანონოთ მიწის ჩამორთმევასა და სხვ ადა სხვა წვრილმან საკითხებზე.

სამწუხაროთ ჩვენს მიმართვებს ამ განცხადებებზე ძლიერ გულგრილად მოეკიდენ ადგილობრივი ამხანაგები.

57 განცხადებიდან მხოლოდ 14-ზე მივიღეთ პასუხი. სხვები კი უგზო უკვლოდ დაიკარგა.

საჭიროა ასეთ გულგრილობას ერთხელ და სამუდამოთ მოეღოს ბოლო. ადგილობრივი აღმასკომებიდან წითელ არმიელების საჩივრებს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

ბოლო უნდა მოეღოს ისეთ მიმართვებს ადგილობრივად, როგორც ზოგიერთ მომჩივან წითელ არმიელებს ეუბნებიან: „შენი განცხადება შუბლზე მიიფარეო“—ეს გამოგონილი სიტყვები არ არის, ამის შესახებ მოგვეპოება ნამდვილი ცნობები და ხშირად ამ სტრიქონების დამწერიც ყოფილა ამის მოწამე.

უნდა იცოდენ ამხანაგებმა, რომ თითეული ასეთი მოქცევა ცუდათ მოქმედობს ჩვენს არმიელებზე, როდესაც იწერებიან სახლიდან ამის შესახებ.

ა. ჭკადუა.

## ამბები სოფლებიდან.

**სოფლის მეურნეობის დასახმარებლათ.**

ახალციხის აღმასკომმა განიზრახა ააშენოს 3 ხილის საშრობი ქარხანა, გლეხების მიერ დამზადებული ხილეულობის გადასამუშავებლათ ბაზრისათვის.

**დასასვენებელი სახლის შეკეთება.**

ახალციხის აღმასკომმა დაადგინა შეაკეთოს აღმასკომის კუთვნილი დასასვენებელი სახლი აბასთუმანში.

**მიწად-მოწყობისათვის.**

ბორჩალოს აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა ცენტრის წინაშე, მაზრაში მიწადმოწყობის დაჩქარების მიზნით კიდევ ექვსი მიწის მზომელის გაგზავნის შესახებ.

**თემაღმასკომებისათვის.**

ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა ყველა თემაღმასკომებს მისცეს ორ-ორი ცხენი მთავრობის საქმეებზე მიმოსვლის საჭიროებისათვის.

**დაზარალებულთა დასახმარებლათ.**

აჭარის, სტიქიური მოვლენებისაგან დაზარალებულ გლეხებს მთავრობა ურიგებს ფულად დახმარებას.

**საქონლის ჭირი.**

თელავის მაზრაში, სოფ. ფიჩხოვანში თავი იჩინა საქონლის ჭირმა. აღმასკომის სავეტერინარო განყოფილებამ იქ უკვე გაგზავნა საქონლის ექიმები.

## ახალი ამბები.

— **ტრამვაის სადგური კახეთის მოედანზე.** ტრამვაის დირექცია შეუდგა კახეთის მოედანზე ტრამვაის სადგურის აგებას.

— **მიწად-მოწყობა.** შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატი შეუდგა რესპუბლიკის მაზრებში მიწად-მოწყობის საქმის გამოკვლევას.

— **ტრამვაის შეკვეთა.** ტრამვაის სახელოსნომ შეუკვეთა რუსეთის ქარხნებს 24 ათასი მანეთის რკინეულობის მასალები.

— **განათლების კომისარიატმა** დაადგინა ყველა ტეხნიკუმებთან მოაწყოს ფიზიკური კაბინეტები.

— **პურის ლეწვის მოახლოების გამო** შრომის სახ. კომისარიატი სიღნაღისა და თელავის მაზრაში სალეწი მანქანების სახელმძღვანელოთ, გზავნის ინჟენერს.

— **საქარხნო—საფაბრიკო სკოლებში** მეცადინეობა დასრულდა 20 ივნისს.

— **უკრაინის უნივერსიტეტებში** საქართველოს დაეთმო რამოდენიმე ადგილი. სტუდენტთათვის სავალდებულოა უკრაინული ენის ცოდნა.

## ხელოვნება.

— **სამშაბათს, 23 ივნისს** ახალ კლუბში გაიმართება დანიელ ჯანაშვილის (დანიელა ურია) სახალხო სიმღერათა კონცერტი.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**ავადმყოფობის გამოცნობა რადიოს საშვალებით.**

რადიოს საშვალებით გულის ცემის გადაცემა ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ გაადვილდა. ამ რამოდენიმე ხნის წინად, ცნობილ ეიფელის კოშკზე მოთავსებულ უძლიერეს რადიო სადგურის საშვალებით გადაცემული იქნა ერთი ჯანმრთელი და ექვსი დაავადმყოფებული გულების ცემა. ექიმმა რომერსეტიმ—რომელმაც მოისმინა ეს, ორივე შემთხვევაში დასვა გულების მდგომარეობის შესახებ სწორი დიაგნოზი.

ინგლისური სამედიცინო ჟურნალში გამოთქმულია აზრი, რომ დიაგნოზის უფრო სისწორით დასმისათვის, გულის ავადმყოფობის დროს, საჭირო გულის ცემა უფრო გარკვევით მოისმოდეს რადიოთი გადაცემის დროს, რაც ადვილი მოსახერხებელია ბგერების გამაძლიერებელის საშვალებით და ამას ყურადღება უნდა მიექცეს.

მედიცინაში რადიოს უდიდესი მნიშვნელობა იმაში გამოიხატება კიდევ, რომ მთავარ ცენტრებს დაცილებულ ექიმებს ყოველთვის ექნებათ საშუალება რადიოს საშვალებით უშვალო დამოკიდებულებაში იქნენ საავადმყოფოებისა და კლინიკების საექიმო პერსონალთან და მაშასადამე არ გამოეპაროთ მხედველობიდან ახალი მიღწევები მედიცინაში.

**უძველესი ქვის შენობა.**

სახარას უდაბნოში (აფრიკაშია) 15 ვერსის დაცილებით ქ. ქაირიდან (ეგვიპტის სატახტო ქალაქია) არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ქვის შენობა, რომელიც მათი აზრით უძველესი ქვის შენობა უნდა იყოს. ის არის ეგვიპტის ტაძარი რომელიც იმყოფება, ე. წ. საფეხურიან პირამიდის ახლო, და რომელიც არა ნაკლები საინტერესოა ვიდრე ტუტანხანუმის აკლდამა. დეპეშით გადმოცემული ცნობები ამ ახალ აღმოჩენის შესახებ გვაუწყებენ, რომ ტაძარში არის 100 მეტრის სიგრძე და 27 მეტრის სიგანე სასაფლაო დარბაზი მსხვერპლის შესაწირავებით. არქიტექტონიკისა და სილამაზით ეს ტაძარი არ ჩამოუვარდება ბერძნულ ანტიურ შენობებს. აღმოჩენა ნათელს ჰფენს უძველეს ეგვიპტურ არქიტექტურის ფარაონების მესამე დინასტიის პერიოდს. სასაფლაო დარბაზი გაცილებით უფრო ძველი უნდა იყოს, ვიდრე ფარაონ სენეფსოს აკლდამა, რომელიც სცხოვრობდა 5.000 წლის წინად.

## ვინ იქნება შემდეგი?

თანახმად ამხ. ასათიანის გამოწვევისა ვიწერ ყოველთვიურად გაზეთ „წითელ არმიელს“ და ჩემის მხრივ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს ქალ. დუშეთიდან:

1. მაზრის პოლიტბიუროს უფროსს ამხ. მიშა სუჯაშვილს. 2. დამზღვევ სალაროს თავმჯდომარეს ამხ. ალექსი ჯარიაშვილს. 3. მაზრაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მიშა ჯაფარიძეს. 4. მის მოადგილეს ამხ. ლადო ლალიაშვილს. 5. განათლების კავშირის მდივანს (მესამე ასეულის შეფს) ამხ. ბენია ჟღენტს. 6. მაზრაღმასკომის ფინანსების გამგეს ამხ. დათიკო ამირიძეს. 7. მაზრმილიციის უფროსს ამხ. ვალიკო ჰურღულიას. 8. აფთიაქის გამგეს ამხ. ივლიანე ჩიმაკაძეს. 9. ქუთაისის მაზრის სამხედრო კომისარს გაბო ბერძენიშვილს. 10. მის თანაშემწეს ამხ. ვანო ქუთელიას. 11. რაჭის მაზრის სამხედრო კომისარს ამხ. თავდუმიძეს. 12. გორის მაზრის სამხედრო კომისარის თანაშემწეს საშა ახობაძეს,

იმედია ზემოაღნიშნული ამხანაგები გამოეხმაურებიან ჩემს გამოწვევას და გამოიწერენ ყოველთვიურად გაზეთ „წითელ არმიელს“.

დუშეთის მაზრის სამხედრო კომისარი

**კოლია ხუროძე.**

## ვის აქვს საწინააღმდეგო.

1-ლ. ქ. მ. ლეგიონის 1-ლ ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიაში კანდიდატებად მიღების შესახებ ქვემოთ ჩამოთვლილ ამხნაგებს, რომელთა შესახებ თუ ვინმეს მოეპოებათ რაიმე საწინააღმდეგო მათი პარტიაში მიღების შესახებ ვთხოვთ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: 1-ლი ლეგიონის ბანაკი 1-ლი ასეულის კომუჯრედში.

1. ღვინერია ვლადიმერ 2. რესიშვილი ივანე ალექსისძე 3. ბაგანაშვილი ბაგრატ ქიტასძე 4. ჭიჭინაძე ფოკა იოსებისძე 5. ავაქოვი მიხეილ ივანესძე, ოცის თავი ა. ლ. კ. კ. წევრი.

გარდა უკანასკნელისა ეს ამხანაგები ყველა უპარტიოა

1-ლ. ასეულის კომუჯრედის

პ. მ. მდივანი **შ. კვინიკაძე.**

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

## განცხადებები

1-ლ. ქ. მ. დ. პარტკომისია ამით აცხადებს ყველა ნაწილების საყურადღებოთ, რომ პარტკომისია ა. წლ. 22 ივნისიდან გადავიდა ქ. სურამში და დარჩება ბანაკობის დამთავრებამდე. ყოველივე მიწერმოწერა იწარმოებს აღნიშნულ ადგილზე.

**1-ლ. ქ. მ. დ. პარტკომისია.**

1—2.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გაზეთ „წითელ არმიელი“-ს დამატება № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტერარმიელის ფურცელი

## მუდამ მზად იყავ!

ტერარმიელო! სულ ორიოდე დღეა რაც გამოცხადდი ტერშეკრებაზე. ამ მხრივ შენ პირნათლად მოიხადე თავისი მოვალეობა მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინაშე. შენ დაამტკიცე თავისი ერთგულება მშრომელთა ხალხისადმი.

მაგრამ მარტო მოსვლით ტერყაზარმაში შენი საპასუხისმგებლო მოვალეობა როდი ამოიწურება. თავისი თავდადება მუშების და გლეხების სახელმწიფოს წინაშე ბოლომდი უნდა დაამტკიცო!

შენ მოდი ტერნაწილში სამხედრო საქმის შესასწავლად, რომ გახდე შეგნებული და სათანადო ცოდნით შეიარაღებული შეუდრეკელი მებრძოლი საბჭოთა ხელისუფლების და ოქტომბრის მონაპოვართა!

საბჭოთა ქვეყანას გარს ართყია კაპიტალისტური სახელმწიფოები. მსოფლიო ბურჟუაზია ჭკუიდან იშლება, როცა ხედავს რომ მუშურ-გლეხური ქვეყანა წინ მიიწევს აღორძინების გზაზე. ის მზადაა ყოველივე ხელსაყრელ მომენტში თავს დაგვესხას და გაგვანადგუროს.

ამიტომაც ჩვენ გვჭირია ისეთი ძალა, რომელიც მტკიცედ დაიცავს საბჭოთა-კავშირის საზღვრებს და ნებას არ მისცემს მტერს მშრომელთა ხალხის თავისუფლების და უფლებების შებღალვისა.

ეს ძალაა—ძლევამოსილი წითელი არმია, რომელმაც თავისი გმირული ბრძოლით გაანადგურა შინა კონტრრევოლიუცია და დროებით ხელი აღებინა მსოფლიო კაპიტალისტებს ჩვენს წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაზე.

დღეს მთელი საბჭოთა ქვეყანა ჩაბმულია აღმშენებლობითი მუშაობაში და ეწევა მშვიდობიან შრომას.

ჩვენ არ გვსურს ომი, ჩვენ გვინდა ზავი და მშვიდობიანობა.

მსოფლიო ბურჟუაზია კი ახალ სისხლის მღვრელ ომებისათვის ემზადება.

რასაკვირველია, მისი პირველი გალაშქრების საგანი საბჭოთა კავშირი იქნება.

ეს ჩვენ კარგად ვიცით. და ამიტომაც ჩვენი ამოცანას შეადგენს რაც შეიძლება მაღლა ავსწიოთ წითელი არმიის საბრძოლო უნარი, რაც შეიძლება კარგად დავაყენოთ სამხედრო თავდაცვის საქმე.

კაპიტალისტების ქვეყნების სამხედრო ძლიერება დიდია. რომ მას გაუმკლავდეთ საჭიროა ყოველი მუშა და გლეხი გაცნობილი იყოს სამხედრო საქმესთან. და რომ მშრომელი ერთის მხრივ არ მოწყდეს აღმშენებლობითი მუშაობას, ხოლო მეორე მხრივ ის მომზადებული იყოს მტრის შესახვედრათ, საბჭოთა ხელისუფლებამ შემოიღო შეიარაღებულ ძალების ორგანიზაციის ტერიტორიალური სისტემა.

ამ ტერიტორიალურ სისტემის გატარებას ჩვენ შეუდექით დღეს. ტერიტორიალური აღმშენებლობის პირველი ძალები თქვენ ხართ.

თქვენზეა დაკისრებული დიდი ამოცანა—ტერშეკრების მოკლე პერიოდში ნაყოფიერად გაიაროთ განსაზღვრული სამხედრო სწავლების და პოლიტიკური მეცადინეობის პროგრამა.

ეს მოვალეობა თქვენ პირნათლად უნდა შეასრულოთ. თქვენ უნდა გახდეთ ღირსეული დამცველნი საბჭოთა ხელისუფლების! ამისათვის საჭიროა გაასკეცებული ენერგიით ხელი მოჰკიდოთ სამხედრო ცოდნის შეძენას, პოლიტიკურ-კულტურულ განვითარებას და ტერშეკრების დრო რაც შეიძლება მეტის ნაყოფიერობით გამოიყენოთ! აქედანვე განამტკიცეთ ფოლადისებური დისციპლინა თქვენს რიგებში.

იყავით დისციპლინიანი, მუყაითი და შეგნებული რევოლიუციონერები.

მუდამ ფხიზლად და მხნედ იდექით მშრომელთა ხალხის კეთილდღეობის სადარაჯოზე!

## ტერკორო, სწერე შენს გაზეთში.

მიმდინარე ტერ-შეკრება გაგრძელდება სულ რამოდენიმე თვეს.

ამ მცირე დროის განმავლობაში ტერ-არმიელმა ერთი წუთი არ უნდა დაჰკარგოს ტყუილად და ნაწილში მოსვლისთანავე ენერგიულად უნდა მოჰკიდოს ხელი პოლიტიკურ-სამხედრო და საერთო სასკოლო მეცადინეობას.

ამასთანავე ერთად ცვალებადელები წითელი არმიის ნაწილებში მოსვლის და იქ ყოფნის მცირე დროის განმავლობაში კარგათ უნდა გაეცნონ სამხკორთა მუშაობას და აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ, როგორც ადგილობრივი კედლის, ისე გაზ. „წითელ არმიელში“ თავიანთი ნაწილების საერთო ყოფა-ცხოვრების გაშუქებაში,

ცვალებადელმა კარგათ უნდა შეითვისოს ის, რომ გაზეთი „წითელი არმიელი“ არის წითელ არმიელთა ფართო მასის პოლიტიკურ და კულტურულ აღზრდის ერთი მთავარ იარაღთაგანი და მათი ინტერესების ერთგული დამცველი.

ამავე მიზანს ემსახურება ნაწილების კედლის გაზეთები, რომლებიც აღზრდიან წითელ არმიელებს, ხელს შეუწყობენ მათში საზოგადოებრივი გამოცდილებათა გამომუშავებას და მჭიდროთ დააკავშირებენ მათ ბეჭვდითი სიტყვასთან.

ადვილი შესაძლებელია ცვალებადელებს პირველ ხანებში გაუძნელდეთ გაზეთებში წერილებისა და კორესპონდენციების წერა. ამისი გადალახვა ძალიერ ადვილი იქნება.

საჭიროა მხოლოდ, რომ ცვალებადელი აქტიურად ჩაებას სამხკორთა მუშაობაში, მიიღოს მხურვალე მონაწილეობა ადგ. კედლის გაზეთების გამოშვებაში, სადივიზიო გაზეთში წერილების მიწოდებით და სხ.

ყოველმა ცვალებადელმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს თავიანთი ნაწილების სამხედრო ცხოვრებას და ყოველი დარგის მუშაობის გაშუქებას გაზეთების ფურცლებზე.

ამასთანავე ერთად ცვალებადელ—სამხკორების მუშაობა მჭიდროთ უნდა დაუკავშირდეს სოფლის გლეხკორებს სოფლად და მუშკორებს—ქალაქებში. ამ შემთხვევაში სამხკორს ცვალებად შემადგენლობაში ყოფნის დროს მუშაობის უფრო მეტი ასპარეზი აქვს და ამიტომ მან არცერთი მტკივნეული საკითხი არ უნდა დასტოვოს უყურადღებოთ.

ტერ-არმიელმა ნაწილიდან თავის სოფელში დაბრუნების შემდეგ ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს თავისი ნაწილი, არ უნდა გასწყვიტოს კავშირი გაზეთებთან და სისტემატიურად უნდა აწვდიდეს წერილებს მათ დღევანდელი სოფლის ყოფა-ცხოვრებაზე.

ჩვენი სამხკორთა, ნაწილების მათ ორგანიზატორთა და ნაწილელების პარტ-ორგანიზაციების მთავარი ამოცანა იქნება გაუწიონ სწორი და სისტემატიური ხელმძღვანელობა ცვალებადელთა სასამხკორო მუშაობას, ჩააბან ისენი სამხკორთა წრეების მუშაობაში, ასწავლონ მათ თუ რაზე და როგორ უნდა სწერონ და სხ.

## შეისწავლე სამხედრო საქმე

### დარიგება ტერ-არმიელს, თუ როგორ უნდა მოეპყრას ის იარაღს.

ნაწილში მისვლისთანავე ახალწვეულს ეძლევა რიგიანად შენახული შაშხანა, რომელიც ჩაიწერება და ითვლება მის სახელზე მთელი სამსახურის ვადის დასრულებამდი. რისთვის ეძლევა ახალწვეულს შაშხანა და როგორ უნდა მოეპყრას მას? შაშხანა მეომრის ხელში ის იარაღია, რომლითაც შეიძლება მტრის შემუსვრა: შორიდან ტყვიით, ახლოდან ხიშტით და კონდახით.

ხოლო წითელ არმიელმა რომ ეს ამოცანა შეასრულოს, უნდა შეისწავლოს შაშხანა და უნდა შეეძლოს მისი ხმარება. მაგრამ ეს ცოტაა: შაშხანა მხოლოდ მაშინ იმოქმედებს კარგად, როცა ის უმიზეზოა და კარგად შენახული. უნდა იზრუნო იმაზე, რომ შაშხანა არ გაფუჭდეს. ამიტომ უნდა მოუარო მას, სწმინდო და ფრთხილად მოეპყრა. დიდის ყურადღებით უნდა მოეპყრა ლულას, კორას და სამიზნოს. თუ ლულა ან კორა გაილუნი და სამიზნო გაიდრიკა,—შაშხანა არაფრად არ ივარგებს, ვინაიდან რომ გაისროლო, სულ ერთია მიზანში ვერ მოარტყამ.

რომ წვიმისა ან სინესტის გამო შაშხანას ჟანგი არ მოეკიდოს, საჭიროა გაწმენდის შემდეგ მისი კარგად დაზეთვა.

უნდა გვახსოვდეს, რომ შაშხანა სახალხო ქონებაა და მისი გაკეთება ძვირი ჯდება.

ამიტომ გაუფრთხილებელი და დაუდევარი მოპყრობა შაშხანისადმი სარგებლობას აძლევს მტერს ერთი იმით, რომ ასუსტებს წითელ არმიის ძალას, ხოლო მეორედ—ზედმეტ ხარჯებს აყენებს სახელმწიფოს.

**რაში გამოიხატება მეომრის მოვალეობა თავისი შაშხანის მოვლაში?**

პირველ ყოვლისა იმაში, რომ თითეულმა მეომარმა უნდა იცოდეს თავისი შაშხანის ნუმერი, ყოველ დღე უნდა გასინჯოს ის, მოსწმინდოს მტვერი, ხოლო სამსახურიდან და მეცადინეობიდან დაბრუნების შემდეგ, თუ საჭირო იქნება, გამოსწმინდოს ლულა და დაზეთოს.

რაგინდ დაღლილიც არ იყოს მეცადინეობისაგან, მეომარს არ აქვს უფლება შეუდგეს სადილს ან დაისვენოს, სანამ თოფს არ მიხედავს და არ გასწმენდს. სროლის, ან წვიმის (დასველების) შემდეგ შაშხანა, უნდა დაიშალოს, გაიწმინდოს და დაიზეთოს.

თუ შაშხანას რაიმე დაუზიანდა, წითელი არმიელი ვალდებულია მაშინვე აცნობოს ამის შესახებ ათეულის უფროსს.

კარგად უნდა დავიმახსოვროთ, თუ როგორ ინახება შაშხანები ყაზარმებში, კარვებში, ლაშქრული წესით მოძრაობის დროს, რონოდებში (ვაგონი) და სხვა.

ამრიგად ახალწვეული ამ თავითვე უნდა გაუფრთხილდეს თავის იარაღს, ხშირად გასინჯოს, მოაშოროს მტვერი, გასწმინდოს და დაზეთოს. ამ წესების ასრულება ჩვეულებას, და მოთხოვნილებად გადაექცევა კეთილ-სინდისიერ მეომარს.

შაშხანას უნდა გაუფრთხილდე ისე, როგორც თავს. საჭირო დროს ის სიკვდილიდანაც დაგიხსნის და გამარჯვებასაც მოგანიჭებს.

პ.

## ახმაურდა ყაზარმა.

ჩვენი ყაზარმა ამ ბოლო ხანებში მოგაგონებდათ უზარმაზარ გემს, რომელიც ძალზედ გულმოდგინეთ და სიფრთხილით ემზადება შორეულ ქვეყანაში წასასვლელათ. ყველგან რომელ კუნჭულშიც კი არ უნდა შეგეხედნათ დაინახავდით, რომ ყველა საქმიანობდა: ლენინის კუთხეში აკრავდენ მისასალმებელ ლოზუნგებს და პლაკატებს, კლუბში საჩქაროთ ემზადებოდენ წარმოდგენისათვის, სკოლაში აკეთებდენ და ასუფთავებდენ დაფებს, სკამებს და სხვა საჭირო ნივთებს. იქ „დიდის ხმაურობით თათბირობდა რომელიღაც კომისია. ერთი სიტყვით ყველა მუშაობდა. ყველა რაღაცა დიდს მოელოდა.

მოახლოვდა დანიშნული დღე საქართველოს დაბა-სოფლებიდან მოაწყდა ჩვენ წითელ ყაზარმას ახალგაზრდა გლეხობა... ახმაურდა ყაზარმა... გაჩაღდა მუშაობა.

ყველა ცდილობს მიეალერსოს და მიესალმოს ახალგაზრდა ტერ-არმიელს, ყველა ცდილობს მეტი ცოდნა მიაწოდოს მას.

დიდი სიფრთხილე, დაკვირვება და მუშაობა გვმართებს ჩვენ, რომ იმ მოკლე ხანში, რომლის განმავლობაშიც ახალგაზრდა ტერ-არმიელი იქნება ჩვენს განკარგულებაში, შევქმნათ მათგან საბჭოთა კავშირის შეგნებული მოქალაქე და მტკიცე დამცველი.

ვუსურვოთ ახალგაზრდა ტერ არმიელებს ენერგიული მუშაობა და გულმოდგინეობა სამხედრო საქმის შესწავლის საქმეში.

სალამი მათ!

ტ. ზ—ი.

## ტერ-აღმშენებლობა.

**რა სარგებლობა მოაქვს ტერ. აღმშენებლობას გლეხობისათვის.—ყველა მშრომელებმა უნდა იცოდენ თოფის ხმარება.—საბჭოთა კავშირის დაცვა თვითეული მშრომელის მოვალეობაა.**

კაპიტალისტურ არმიებთან შედარებით ჩვენი წითელი არმია მცირე-რიცხოვანია. საბჭოთა კავშირში ყოველ 10 ათას მცხოვრებზე მოდის 41 წითელ-არმიელი, ხოლო პატარა მემამულეთა—ბურჟუაზიულ პოლონეთში—ყოველ 10.000 მცხოვრებზე მოდის 100 ჯარისკაცი. საფრანგეთში კი 10 ათას მცხოვრებზე მოდის 200 ჯარისკაცი.

ვიმეორებთ, რომ ჩვენი საბჭოთა კავშირის ტერიტორიასთან, მცხოვრებთა რაოდენობასთან და კაპიტალისტურ ქვეყნების არმიებთან შეფარდებით ჩვენი წითელი არმია მეტად და მეტად მცირე რიცხოვანია.

**რატომ არ გვყავს ჩვენ მრავალრიცხოვანი არმია?**

ერთი იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არ უნდა დიდი ხარჯები გაიღოს მრავალ-რიცხოვანი არმიის შესანახავად, ვინაიდან არმია მოითხოვს დიდ ხარჯებს. გარდა ამისა საბჭოთა კავშირს არ სურს ვინმეს ომი აუტეხოს. მას უნდა მშვიდობიანობა და წითელი არმიის მცირე-რიცხოვანობა ჩვენი მშვიდობიანი პოლიტიკის ერთი მაგალითთაგანია.

მაგრამ ჩვენ ბევრი მტერი გვყავს. ყველა ქვეყნის ბურჟუებს ძალიან უნდათ გვიკბინონ, ხელი შეუშალონ ჩვენს მშვიდობიან სამეურნეო აღმშენებლობას. **ამიტომ ჩვენი ხელისუფლება ამოცანად ისახავს—შექმნას ისეთი მდგომარეობა, რომ ყოველ მუშასა და გლეხს შეეძლოს იარაღის ხმარება და საჭირო დროს გამოვიდენ მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.**

მოსახლეობის შორის სამხედრო ცოდნის გავრცელების საქმეში მთავარი ადგილი უჭირავს ტერიტორიალურ აღმშენებლობას. აი რატომ ექცევა ასეთი დიდი ყურადღება ამ უმთავრეს საკითხს ჩვენი ქვეყნის საბრძოლო უნარის გაძლიერების საქმეში.

ტერ-აღმშენებლობა მოიწონა და მიიღო მუშებისა და გლეხების ფართე მასებმა. **ტერიტორიალური სისტემა უმსუბუქებს მოსახლეობასა და სახელმწიფოს შეიარაღებული ძალის შენახვას და იმავე დროს წარმოადგენს მუშებისა და გლეხების დაახლოების საუკეთესო საშუალებას.**

ტერიტორიალურ სისტემას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სასოფლო მეურნეობისათვის. გლეხი მოსწყდება თავის მეურნეობას მხოლოდ სულ მოკლე ვადით სამხედრო სამსახურის გასავლელად. ცვალებად არმიელთა შეკრება ეწყობა ისეთ დროს, როცა გლეხს შემსუბუქებული აქვს თავისი სამუშაო. ამრიგად გლეხის მეურნეობის საქმე ტერნაწილში მამის, შვილის ან ძმის გაწვევით არ ფერხდება.

ტერიტორიალური სისტემ—ეს არის ცეცხლის მქრობელი რაზმი. მშვიდობიან დროს თვითეული ცვალებად შემადგენელი მუშაობს თავის მეურნეობაში ან ქარხანაში. ყაზარმაში ის ცხადდება მხოლოთ თავისი ცოდნის შესამოწმებლად. სამაგიეროდ, თუ რომ მტრები ომს აგვიტეხენ და შემოგვიტევენ, საბჭოთა ხელისუფლების პირველ დაძახილისთანავე ტერ-არმიელი მიდის წითელი არმიის რიგებში და იბრძვის მტრის წინააღმდეგ.

ცეცხლის მქრობელ რაზმს შეუძლია კარგად იმოქმედოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ ის კარგად გაწვრთნილი და მომზადებულია. ასევე ითქმის ცვალებად არმიელზეც. ის კარგი მეომარი გახდება იმ შემთხვევაში, თუ რომ ბეჯითად და დაკვირვებით იმეცადინებს ტერშეკრების დროს და კარგად შეითვისებს სამხედრო საქმეს.

ცვალებად-არმიელი უნდა გახდეს აგრეთვე ტერ-აღმშენებლობის იდეის საუკეთესო გამტარებელი სოფლად და ქალაქში. შეკრებიდან სახლში დაბრუნების შემდეგ, მან ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს, რომ ტერიტორიალური აღმშენებლობა დიდი და სერიოზული საქმეა და თუ ეყოლება ცვალებად-არმიელთა კარგი მომზადებული კადრი, საბჭოთა კავშირი მიუდგომელ კლდესავით იდგომება და ვერას დააკლებენ მას მრავალ-რიცხოვანი მტრები.

ა. ვ—ი.

## ეისწავლეთ შაშხანა.

სასროლო მომზადება არის საფუძველი მთელი სამხედრო მომზადების. თითოეულმა ახალწვეულმა უნდა შეიგნოს, რომ თუ მათ არ ეცოდინება ეს ძირითადი საფუძვლები, ვერასოდეს ვერ გახდებიან მშრომელი ხალხის დამცველ მხედრებათ მისი მტრებისაგან. მაშასადამე, ახალწვეული უნდა სცდილობდეს გახდეს კარგი მსროლელი.

იმისათვის, რომ მსროლელმა შესძლოს თავისი თოფის მოხმარა, ე. ი. შესძლოს ხიშტით კვეთება, თავი დაიცვას მოწინააღმდეგისაგან და აწარმოოს მარჯვე სროლა, საჭიროა ეს იარაღი შეისწავლოს ისე, როგორც საკუთარი ხუთი თითი.

მექანიკოსი, დურგალი, მხვნელ-მთესველი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყვნენ თავისი საქმის მცოდნე და კარგი მუშები, როდესაც ზედმიწევნით შესწავლილი ექნებათ თავისი მანქანები, იარაღები და გუთნები.

ასეა მსროლელიც, რომ გაამართლოს თავისი უდიდესი დანიშნულება, მან დაწვრილებით უნდა შეისწავლოს თავისი თოფი, მისი შემადგენელი ნაწილები, მექანიზმი და მისი საბრძოლო თვისებები, რომ ბოლოს გახდეს სასროლო საქმის მცოდნე.

შაშხანა შესდგება რამოდენიმე ნაწილისაგან.

მათი შესწავლა უცებ, შეუსვენებლად, ახალწვეულისათვის ძნელია. პირველად უნდა გაეცნო მთავარ შემადგენელ ნაწილებს, დაიმახსოვრო რა დანიშნულება აქვთ მათ, ხოლო შემდეგ თანდათანობით უნდა გაეცნოთ დანარჩენ, მეორე ხარისხოვან ნაწილებს, მაგრამ უნდა გახსოვდეს, რომ თითეულს პაწია ნაწილს, რომელიმე ხრახნილს ან ფირფიტას აქვს თავისი განსაზღვრული დანიშნულება, თავისი განსაზღვრული სამუშაო. შაშხანის აგებულობის და მისი ნაწილების დანიშნულების გაცნობის დროს, გზადა გზა უნდა შეისწავლო მისი მექანიზმის მუშაობაც (ნაწილების ურთიერთ მოქმედება). მაგალითისთვის ვსთქვათ: ჩვენ ვიცით, რომ შაშხანის ერთი უმთავრესი შემადგენელთაგანი ნაწილი საკეტი წარმოადგენს ლულის უკანა ნაწილის მჭიდრო საცობს გასროლის დროს, რომ საკეტი თავისი მხრივ შესდგება რამოდენიმე საყურადღებო და მნიშვნელოვან ნაწილებისაგან, რომ ეს ნაწილები ასრულებენ სასტიკად განსაზღვრულ სამუშაოს. ჩვენთვის საინტერესოა გავიგოთ. რა ემართებათ ამ ნაწილებს, ე. ი. როგორ მუშაობენ ისინი, როდესაც ჩვენ, ვსთქვათ, საკეტის კარგად ჩაკეტვა გვინდა, გადავსწევთ მის ღეროს სახელურით მარჯვნივ; შემდეგ როგორ სამუშაოს ასრულებენ საკეტის სხვა და სხვა ნაწილები ჩახმახის დასხლეტის საკეტის უკან გამოწევის დროს და სხვა.

შაშხანის ნაწილების, მათი დანიშნულების და ურთიერთ მუშაობის გაცნობით ადვილად შეიძლება იმდენად კარგად შეისწავლო საკუთარი იარაღი, რომ ეს ცოდნა შეგრჩეს სიკვდილამდე.

ხოლო როდესაც იარაღი კარგად არის შესწავლილი, მისი გამოყენებაც უფრო ადვილდება. საჭიროა მხოლოდ სურვილი და მისადმი სიყვარული, როგორც სხვა ყოველგვარ საქმისადმი.

ვ.

## ტერ-შეკრებაზე.

(მე-6-ე ლეგ. მე-3-ე ასეული.)

გათენდა 15 ივნისი.

ახალწვეულებიც წამოიშალნენ ზეზე და გაეშურენ მახლობელ მდინარისაკენ პირის დასაბანათ. ჩაის დალევის შემდეგ თავი მოიყარეს ყაზარმის გვერდზე მწვანე მოლზე და გაიბა საუბარი ძველ და ახალწვეულ წითელ-არმიელებს შორის. ასეულის მთელი შემადგენლობა აქ არის, ზოგი გაზეთს კითხულობს, ზოგი კიდევ მხარ-თეძოზე წამოწოლილი თამბაქოს შეექცევა. ასეულის თავი და პოლიტხელი კი მოუთმენლად გაიყურებიან იმ მხარისაკენ, საიდანაც უნდა მოვიდნენ დარჩენილი ამხანაგები. უცებ გაისმა ხმა და ახალწვეულების ერთი გუნდი შეუერთდა ჩრდილში წამოწოლილ ამხანაგებს.

- აბა ამხანაგებო დადექით ორ მწკრივად—იძლევა განკარგულებას ასეულის ზემდეგი. ბრძანება მყისვე სრულდება. დაიწყო ამოკითხვა, რომლის დამთავრების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მთელი შემადგენლობის 2 პროც. არ არის გამოცხადებული.

— მოვლენ ისინი თუ არა? ეკითხება ასეულის უფროსი ერთ ახალწვეულს, რომელიც მახლობელ რაიონიდან არის. -აუცილებლად მოვლენ ამხ. უფროსო, მე მათ ძალიან კარგად ვიცნობ, მათ უხაროდათ კიდეც წითელ ჯარში გაყვანა—უპასუხებს, ის რომელსაც ეტყობოდა არც თვითონ სწყდებოდა გული წითელ ჯარში გაწვევით.

სრული 2 საათია. მზათ არის ასეული წასასვლელად. მაზრის სამხედრო კომისარი მხურვალე სიტყვებით მიმართავს ახალწვეულებს, რომლებსაც მოუწოდებს გულმოდგინეთ მოეკიდონ სამხედრო და პოლიტიკური ცოდნის შეთვისებას, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ყოველი პატიოსანი მშრომელი ახალგაზრდისათვის. საპასუხო სიტყვით გამოდის ახალწვეული ამხ. გოგია. ის მთელი შემადგენლობის სახელით ფიცს სდებს, რომ ფხიზლად იდგომებიან რევოლიუციის სადარაჯოზე, ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარის დასაცავად. სიტყვების დამთავრების შემდეგ ასეული დაიძრა თავის საცხოვრებელ ადგილიდან. ადგილობრივი ხელისუფლებამ მუსიკით გამოგვაცილა. რამოდენიმე წუთი კიდევ და ასეული გაუდგა გზას დანიშნულების ადგილისაკენ.

ნ. ახათიანი.

# ცვალებადელნი წითელ ყაზარმაში

## შეგნებულად მოეშურებიან.

4-ე ლეგიონი.

ლეგიონის უფროსისა და სამხკომის მოწოდების თანახმად 10 ივნისს უკლებლივ გამოცხადდენ ლეგიონში 1902 წ. დაბადებული ცვალებადელთა პარტიული შემადგენლობა. მთელი ლეგიონი მოუთმენლად მოელოდა მათ. სტუმრებისთვის შესახვედრად ერთი კვირით ადრე ვიყავით მზად, და შესაფერადაც დავხვდით, რის შემდეგ მათთან ერთად შეუდექით 15 ივნისისათვის ცვალებადელთა შეხვედრისათვის სამზადისს.

14 ივნის რაიონების მთავარ შესაკრებ პუნქტებში ლეგიონმა დაგზავნა უფ-პოლიტ-შემადგენლობა ახალწვეულთა შესახვედრად.

15 ივნისი დილიდანვე მხიარულებით დაიწყო. ლეგიონის ორკესტრი „ტუში“ უმასპინძლდებოდა რაიონებიდან მოდენილ სხვა და სხვა ასეულებს.

ცვალებადელები სიმღერით შემოდიოდენ ლეგიონის ეზოში და თანდათან ავსებდენ ყაზარმას.

რადგანაც ერთ დღეს ვერ მოიყარეს თავი ყველა რაიონებიდან, ამიტომ შესახვედრი მიტინგი გადაიდო 17 ივნისისათვის. ყაზარმებს თანდათან ემატებოდა სიმხიარულე. ძველსა და ახალ არმიელებს შორის გაიბა ძმური საუბარი სოფლის და ყაზარმული ცხოვრების შესახებ.

სადილის შემდეგ ლეგიონის ეზოში გაიმართა ცეკვა-თამაში. ლეგიონის თავი და მეთაურები ერთმანეთს ეჯიბრებოდენ ცვალებადელებთან ცეკვაში.

საერთოდ ახლად მოსულები კმაყოფილად გრძნობენ თავს. მათ არ ეტყობათ უცხოობა. ძნელად თუ გაარჩევთ ძველი წითელ არმიელებისაგან. ყველაფრით დაინტერესებული, დისციპლინის მცოდნე და თავისი მოვალეობის შეგნებულად ამსრულებელთა შთაბეჭდილებას სტოვებენ.

სამხკორი ჯლანკი.

## როგორ ხვდებიან ძველი არმიელები ცვალებადელებს.

6-ე ლეგიონი.

მომსვლელის სიხალისე დამხვდურსაც გადაედო. ძველი წითელ-არმიელები განსაკუთრებული მზრუნველობით და ინტერესით შეხვდენ ცვალებად შემადგენლობის ახალწვეულებს.

— ჩვენი მოვალეობაა აუხსნათ ამხანაგებს დისციპლინის საკითხი, უფ-პოლიტშემადგენლობისადმი დამოკიდებულება და დავარწმუნოთ ისინი, რომ წითელ ჯარში, პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს რევოლიუციონური დისციპლინის დაცვა—ხშირად გაიგონებდით ჩვენს არმიელებში ასეთი ხასიათის საუბარს.

მოვიდენ თუ არა ცვალებადელები, ძველმა არმიელებმა მართლაც ღირსეულად შეასრულეს თავისი სიტყვები. ისინი ერთმანეთს ეცილებოდენ ახლებთან საუბარში და ამ საუბრის საგანი იყო, წითელი ყაზარმა, მისი ზნე-ჩვეულება, დისციპლინა, სწავლა და სხვა. არა ნაკლები ინტერესით ისმენდენ თავის მხრივ ეს ამხანაგები სოფლის ამბებს.

### შეკრება და კლუბი.

ლეგიონის ფარგლებში სკოლის გარეშე მუშაობის ხელმძღვანელად ითვლება კლუბის გამგეობა. შეკრების დროს მას დიდი მუშაობის წარმოება დასჭირდა. პირველი ივნისიდანვე გამგეობა შეუდგა თავისი სამოქმედო გეგმის შედგენას. შედგენილი იქნა კალენდარული ცხრილი, წრეებმა დაამუშავეს ლოზუნგები და პლაკატები, რომლებიც გამოკრული იქნა ლეგიონის ყველა ასეულებში და ათასეულებში.

ძირედი შემადგენლობის მთელი აქტივი სიამოვნებით შეუდგა მუშაობას. მხოლოდ ადგილის სივიწროვის გამო ვერ იქნა სათანადოთ მოწყობილი ლენინის კუთხეები.

20 ივნისისათვის, როდესაც სრულიად მოთავდება ყველა ცვალებადელების გამოწვევა, განზრახულია მოეწყოს წითელი არმიისა და ფლოტის სახლში შესახვედრი საზეიმო საღამო. ამისთვის არჩეული იქნა სპეციალური კომისია, რომელიც გაფაციცებით აწარმოებს მზადებას.

დარწმუნებული ვართ ეს საღამო ღირსეულად იქნება ჩატარებული, რადგან ამისთვის იყო საჭირო ხალისი და მონდომება.

უსურვებთ ახლად მოსულ ცვალებადელებს, გაასკეცებული ენერგიით და ხალისით აღვსილი ჩაბმულიყვენ ჩვენს საერთო საქმიანობაში.

ვიმუშაოთ ხელი ხელ ჩაკიდებული მედგრად და ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ ჩვენს მტრებს ჩვენი ძლევა მოსილება.

დე, დარწმუნდენ, როგორც მტერი, ისე მოყვარე, რომ წითელი არმია ის სალი კლდეა, რომელზედაც უნდა დაიმსხვრეს ძირმომპალი ბურჟუაზიული სამყარო.

გაუმარჯოს ტერაღმშენებლობას, რომლის განმტკიცება ჩვენი საბოლოო მიზნების დაგვირგვინების წინამორბედია.

სამხკორი ჯავლოში.

## პირნათლად მოიხადეს თავიანთი მოვალეობა.

(მე-4-ხე ლეგიონი).

გორის მაზრის ქარელის რაიონში ცვალებად შემადგენლობის პირველი შეკრება წარმატებით დამთავრდა.

აღნიშნულ რაიონში უპირველეს ყოვლისა, 13 ივნისს ადგ. თემ. საბჭოს სხდომაზე გაკეთდა მოხსენება ტერსისტემის მნიშვნელობაზე და პირველ ტერ-შეკრებაზე, რომლითაც კრება ძლიერ კმაყოფილი დარჩა.

საბჭოს წევრების სოფლებში დაბრუნებისთანავე მოუწოდეს აღრიცხვაზე აყვანილ ცვალებადელებს გამოცხადებულიყვენ მიმღებ წერტებში დანიშნულ დროს.

მართლაც ამ რაიონის ცვალებადელები გამოცხადდენ დანიშნულ დროს მიმღებ წერტებში. მთელს რაიონში არ გამოცხადდა მხოლოთ სამი კაცი, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ გაეგოთ ტერ-შეკრებისათვის დანიშნული დრო, რაშიდაც ბრალი მიუძღვით ადგილობრივ ხელისუფლებას, რაიპარტკომს, კომკავშირს და სხვ.

მართალია დღეს ჩვენ სოფელთან სხვა გვარი კავშირი გვაქვს ტერკორების და რაიონისა და თემების რწმუნებულების საშუალებით, მაგრამ ეს სისტემა არის ჯერ ნორჩი და მისი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დადგომას ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი ადგ. საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების მესვეურებმა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ, მიუხედავათ ზემოხსენებული ნაკლისა, ქარელის რაიონში ეს პირველი ტერ-შეკრება სასურველად ჩატარდა და ცვალებადელებიც სრული შეგნებით შეხვდენ იმას.

ა. მკერვალიძე.

## არც ჩვენ ჩამოვრჩებით.

გორის მაზრიდან მაისის პირველ რიცხვებში წითელი არმიის რიგებში გამოგვიწვიეს 1902 წელში დაბადებული ახალგაზრდები და ჩაგვრიცხეს პირველი საარტილერიო ლეგიონის მეორე ბატარეიაში.

მოსვლისთანავე ნაწილის ყველა წითელ არმიელები და უფ პოლიტ-შემადგენლობა ამხანაგურად მოგვეგებენ და მხიარულად მიგვიღეს. ორი დღის შემდეგ გაგვაგზავნეს აბანოში, მოგვცეს ყველას ლოგინები და შემდეგ კი მოგვათავსეს კარანტინში, სადაც დავყავით 9 დღე. აქედან წითელი არმიელის ტანთსაცმელებში კარგათ გამოწყობილები გაგვაგზავნეს წითელ ყაზარმაში.

ყველა ჩვენთაგანს ყაზარმა ჯერ არ გვენახა და ძალიან გაგვაოცა მისმა სხვა და სხვა მორთულობამ და მოწყობილობამ. წითელ ყაზარმაში ჩვენ ვნახეთ ლენინის კუთხე, რომელიც საუცხოვოთ არის მორთული სხვა და სხვა პლაკატებით და კომუნისტური პარტიის ბელადების სურათებით. აქვე მაგიდაზე აწყვია ყოველნაირი გაზეთები, წიგნები და სხ.

ასეთმა სანახაობამ ახალწვეულები ძალიან გაგვაკვირვა და ზოგიერთ ჩვენთაგანს დაავიწყა თავიანთ სახლის ფიქრი და მისი მოგონება.

15 მაისიდან ჩვენი ნაწილიც გავიდა საბანაკოთ, სადაც ჩვენ ყოველივე ახლად გვეჩვენება.

უკვე გულმოდგინეთ შეუდექით სამხედრო და პოლიტმეცადინეობას.

ჩვენ შორის მყოფ წერა-კითხვის უცოდინარებს კი დაკვრითი წესით ასწავლიან წერა-კითხვას.

ახალწვეული გ. იაკობიძე.

## დისციპლინას გულმოდგინეთ ასრულებენ.

2-რე საკავშირო ასეული.

2-რე ცალკე საკავშირო ასეულის ძირედი შემადგენლობის არმიელები სიხარულით მოელოდენ ცვალებადელების მოსვლას. ყველა სცდილობდა მაგალითის მაჩვენებელი გამხდარიყო ცვალებადელებისათაის და მით გაეადვილებიათ მეთაურებისათვის მათთან მეცადინეობა.

15 ივნისს აგვისრულდა მოლოდინი. ჩვენს ასეულს ამ დღეს შამოემატა 17 ცვალებადელი.

თავიდანვე მოექცენ ისენი ძველი ლაშქრელების გავლენის ქვეშ, რაც გამოაშკარავდა დისციპლინის საკითხში.

აი მაგალითიც:

ერთმა ცვალებადელმა განუცხადა ძველ წითელ არმიელს, რომ ის ცოლიანია და ღამით სახლში წასვლას აპირებს. ძველმა არმიელმა ის გააფრთხილა, რომ ასეთი საქციელი—უფროსის ნება დაურთველად წასვლა დისციპლინის დარღვევას და დეზერტირობას ნიშნავსო. მან მადლობა გადაუხადა არმიელს და თან აღუთქვა, რომ ასეთ საქციელს არასოდეს არ ჩაიდენს.

საერთოდ, ამხანაგები დიდი ყურადღებით ეკიდებიან ყაზარმის წესებს, დისციპლინას დიდ პატივს სცემენ. თითეული მათი ნაბიჯი მოფიქრებულად იდგმება. ძნელად შეამჩნევთ გამოუცდელობას.

სამხედრო საქმით და სხვა მეცადინეობით ძლიერ არიან დაინტერესებული. სრული იმედი გვაქვს, რომ ისინი ღირსეულად შესძლებენ მოიხადონ თავისი ვალი მშრომელი ხალხისა და მისი ხელისუფლების წინაშე.

სამხკორი ს. ვ.